



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების  
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება*

შილდის N2 ბაგა-ბაღი

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

#### თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ნინო ავსაჯანიშვილი

#### წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: თინათინ თოიძე

კვების დარგში ექსპერტი: რუსუდან აჩელაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: იანა გიორგაძე

## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია



| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ            |                                                           |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------|
| სამართლებრივი ფორმა                                                                                                                      | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი              |
| საფირმო სახელწოდება                                                                                                                      | ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება     |
| საიდენტიფიკაციო ნომერი                                                                                                                   | 241579957                                                 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                              | შილდის N2 ბაგა-ბაღი                                       |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                                                    |                                                           |
| სექტორი                                                                                                                                  | საჯარო                                                    |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ                                                                                                   | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება            |
| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ |                                                           |
| იურიდიული მისამართი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                                                    | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ყვარელი, კუდიგორის ქუჩა N2 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი                                                                                        | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შილდა, ჩელთის N 166          |



|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| <b>3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <b>4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| ვიზიტის საფუძველი<br>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               | ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სტატუსი მაძიებელში - ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანება MES 9 25 0000831591 07/07/2025 |
| ვიზიტის პერიოდი<br>(თარიღი)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             | 1 – 2 აგვისტო, 2025 წელი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <b>5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| <b>6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                                                                                        |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |



| N | პროგრამის სახე <sup>1</sup>                | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება                                                                                                   | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა<br>(არსებობის შემთხვევაში)<br>(ბილინგვური/<br>მულტილინგვური) | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა                                                                                              |
|---|--------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული _ასაკობრივი _ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. | ქართული                      |                                                                                               | <p>85</p> <p>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input type="checkbox"/><br/>არ ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/><br/>ექსპერტთა მიერ რეკომენდებული რაოდენობა - <b>43</b></p> |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 1-2 აგვისტოს ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების, სოფელ შილდის N2 ბაგა- ბაღში. ვიზიტის პროცესი იყო საქმიანი, მშვიდი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. თანამშრომლები ჩართული იყვნენ ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდებისა თუ ინტერვიუების პროცესში. დაწესებულებაში მოისმინეს ექსპერტთა პირველადი შეფასებები და აღნიშნეს, რომ ვიზიტის პროცესში დასმული შეკითხვებისა თუ საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის პროცესში, კიდევ უფრო მკაფიოდ გაიაზრეს არსებული გამოწვევები და საჭიროებები. სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს III და IV

<sup>1</sup> აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



სტანდარტში არ დაემთხვა ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების სტატუსის მადიებლის შეფასება. ვიზიტის დასასრულს აღნიშნეს, რომ არიან მოტივირებულები და უფრო ნათლად, გააზრებულად ხედავენ თითოეულ პროცესს, რაც დაწესებულების განვითარებაზე პოზიტიურად აისახება.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მადიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....

.....

.....

.....

.....

.....

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....

.....

.....

.....

.....

## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა                                                                                                                                                                                        |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტი/კომპონენტი                                                                                                                                                                                                                                | დაწესებულების თვითშეფასება                                                                                                                                                                     | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება                                                                                                                                                                      |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება                                                                                                                                                                                                   | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია                                                                                                                                                                                                                            | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება                                                                                                                                                                                                                        | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| <b>ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა<sup>2</sup></b><br>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა<br><i>(ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული _ასაკობრივი_ ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“)</i> |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 2. კურიკულუმი                                                                                                                                                                                                                                       | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება                                            | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება                                            |

<sup>2</sup> ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



|                                          | <input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                                                                        | <input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                                                                        |
|------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა                | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება           | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა                         | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა                          | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება         | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა            |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება                 | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა                                | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |





|                                           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 4.3. მატერიალური რესურსი                  | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები          | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება     | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.7. ფინანსური რესურსი                    | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

## 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1. დაწესებულების მისია

#### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

#### 1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია დოკუმენტირებულად. მისია შემდეგნაირად ჟღერს : „ ჩვენ უზრუნველყოფთ აღსაზრდელთა განათლებასა და განვითარებას ჰოლისტიური მიდგომებით, ვქმნით მათთვის უსაფრთხო, ყოველმხრივ ხელმისაწვდომ, ჯანსაღ სოციალურ-ემოციურ და ადაპტირებულ გარემოს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით, თამაშზე დაფუძნებული სწავლებით და აღსაზრდელთა ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით, პოზიტიური და ჰარმონიული ურთიერთობებით აღსავსე ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით, მშობლების, თემის და საზოგადოების ჩართულობით, არაძალადობრივ, მოწესრიგებულ, ეკომეგობრულ, მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილ გარემოში, სადაც ბავშვი აღიარებულია , როგორც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მთავარი აქტორი/მონაწილე“.

წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, ასევე გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე. დაწესებულებას 2025-2030 წლის სტრატეგიული გეგმა, მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებული აქვს ერთი, 02.05.2025 წლის ბრძანებით (ბ15.882512214).

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

##### რეკომენდაცია

##### რჩევა

დაწესებულებას, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში (მუხლი 8, პუნქტი 4) განსაზღვრული აქვს, რომ მისია ხედვა და ღირებულებები არ მტკიცდება. სასურველია დამტკიცებულ წესში როგორც აქვს განსაზღვრული, ამის მიხედვით იხელმძღვანელოს და მისია, ხედვა, ღირებულება ბრძანებით არ დაამტკიცოს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა ხედვა

დაწესებულებას დოკუმენტიტ განსაზღვრული და ბრძანებით დამტკიცებული (02.05.2025 წლის ბრძანებით ბ15.882512214) აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან. **ხედვა შემდეგნაირად ჟღერს:** „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღები მომავალში (2030 წლამდე) იქნება რეგიონში წარმატებული ინსტიტუცია, რომელსაც ექნება სრულყოფილად აღჭურვილი, ადაპტური სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, ეყოლება ხარისხზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური და საკმარისი ადამიანური რესურსები, რომლებიც ჩართულობით იქნებიან მუდმივი განვითარების პროცესში.

**დაწესებულების ღირებულებები შემდეგნაირად ჟღერს (უცვლელად გადმოტანილია):**

„1. გუნდური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღებში ვირჩევთ და ვამკვიდრებთ გუნდური მუშაობის პრინციპს, ამით ჩვენ ვაღწევთ საუკეთესო შედეგებს სკოლამდელი განათლების მიწოდების თვალსაზრისით. ფუნქციურად გადატვირთული და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის ვეყრდნობით როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთმანეთის შესაძლებლობებს, რაც სისტემის წარმატებას განაპირობებს. ჩვენი ურთიერთობა ეფუძნება კოლეგიალურობას, პატივისცემას, ერთმანეთის აღიარებას, პოზიტიური განწყობების შექმნას, ერთმანეთის გაძლიერებას და თანადგომას, რაც ამართლებს დასახულ მიზანს - აღსაზრდელები დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ სტრესისაგან თავისუფალ და განმავითარებელ გარემოში;

2. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში აღსაზრდელთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება-ჩვენი მისიაა აღვზარდოთ თავისუფალი, განვითარებული, განათლებული თაობა, თამაშზე დაფუძნებული აქტივობებით და სხვადასხვა მიდგომებით, ამიტომ ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ბავშვების ინტერესების გათვალისწინება, მაქსიმალური ჩართულობა და მათი სურვილების დაკმაყოფილება დაგვემიღადა თუ დაუგეგმავად. ჩვენ ყველა მიმართულებით, ვაწვდით მათ ხარისხიან სკოლამდელ განათლებას, საინტერესო და განმავითარებელ თამაშებს, მრავალფეროვან რესურსებს, ჯანსაღ საკვებ მენიუს და სხვა;

3. თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპის არსებობა-გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ვალდებულებაა განვითარების თვალსაზრისით თანაბარი სასტარტო პირობები შევქმნათ საბავშვო ბაღებში, ვზრუნავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, აღსაზრდელები ჩავაყენოთ თანაბარ პირობებში და მივაწოდოთ მათ მუნიციპალურ დონეზე სრულყოფილი სკოლამდელი განათლება. დავიცვათ სამართლიანობის პრინციპი, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე სააღმზრდელო, ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის პროცესში;

4. სიახლეებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მიმდებლობა - ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბაღები ორიენტირებულია მუდმივი სიახლეების დანერგვაზე, ჩვენ უწყვეტად ვზრუნავთ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ჩართულობა ვართ ტრენინგებზე პროფესიული განვითარების კუთხით. ეტაპობრივად მიმდინარეობს დაწესებულებების ტექნიკური აღჭურვა, რათა უზრუნველყოთ კომპიუტერებზე, ინტერნეტზე, საბეჭდო მასალებსა და საგანმანათლებლო რესურსებზე მისაწვდომობა, ეს ყოველივე ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ინოვაციური მიდგომების გამოყენებას კურიკულუმის განხორციელების პროცესში.

5. გამჭვირვალობა, ღიაობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა ორგანიზაციული კულტურა და მისი წარმატება ეყრდნობა საფუძვლიან პარტნიორულ ურთიერთობებს, პრინციპულ ღირებულებებს წარმოადგენს საქმიანობა იყოს გამჭვირვალე, ინფორმაციულად მისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის და გაზიარებული იყოს, როგორც ინსტიტუციური მენეჯმენტისათვის, ასევე მშობლების, თემის და საზოგადოებისათვის. ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღებში არსებობს საგანმანათლებლო პროცესში, მის დაგეგმვასა და განხორციელებაში მშობელთა ჩართულობისა და მონაწილეობის წარმატებული პრაქტიკა.

6. პოზიტიური გარემოს ფორმირება ჯანსაღი, საქმეზე ორიენტირებული პროფესიული ქცევის, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების და ფიზიკური გარემოს უნივერსალური დიზაინის არსებობისაკენ სწრაფვა ჩვენს ბაღებში მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ინკლუზიური განათლების პროცესში ემპათიური და პოზიტიური ქცევა დამკვიდრებული კულტურაა, ჩვენ ვირჩევთ და ამავდროულად უზრუნველყოფთ არაძალადობრივ, მხიარულ და ჰარმონიულ გარემოს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების პროცესი ასახულია დოკუმენტში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით ბ.15.882512210 (02.05.2025). დოკუმენტში განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და შექმნის წესი, ასევე დაკონკრეტებულია სამუშაო ჯგუფის პოტენციური წევრები პოზიციების მითითებით (მუხლი N7-8). აღნიშნულ წესში განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბ.15.8824351001, 16.12.2024). მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავებასთან დაკავშირებულ შეხვედრას და განხილვის პროცესს ესწრებოდნენ გაერთიანების წარმომადგენლები, ბაგა-ბაღების მენეჯერები, თუმცა შეხვედრაზე არ დასტურდება შილდის N2 ბაგა-ბაღის წარმომადგენლის ფიზიკური დასწრება. ბაღის მენეჯერთან ინტერვიუთი დგინდება, რომ გაერთიანების მეთოდისტების მხრიდან გაზიარდა მისია, ხედვა და ღირებულებები დაწესებულებაში მათი სტუმრობისას, გააცნეს მენეჯერს, მოისმინეს მისი იდეებიც. შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულების საბოლოო ვერსია აღმოჩნდა სრულად მისაღები ბაღის პერსონალისთვისაც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. გაზიარების ამსახველი დოკუმენტაციის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა:

- ოქმი N1 – 2025 წლის 5 მაისი შილდის N2 ბაღის ყველა პერსონალთან (ოქმს თან ახლავს დამსწრე პირების ხელმოწერები და შეხვედრის ფოტომასალა).

მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც დასტურდება ბაღში საინფორმაციო დაფაზე დოკუმენტაციის გამოკვეთით.

მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ განთავსებულია ბაღის ღია ფზ-ის გვერდზეც - „შილდის N2 ბაგა-ბაღი“.

**აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მისიის, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი;
2. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი - დამტ. ბრძანებით (ბ.15.882512210);
3. სტრატეგიული დაგეგმარების და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბ.15.8824351001);
4. შეხვედრის (გაზიარებასთან დაკავშირებული) დამადასტურებელი ოქმები/შეხვედრის ფოტოები;
5. „შილდის მეორე ბაღი“ - ფზ გვერდი;
6. ინტერვიუ გაერთიანების დირექტორთან და დაწესებულების მენეჯერთან;
7. ვიზუალური დათვალიერება.





|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 1.1. დაწესებულების მისია                        |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დამტკიცებულია ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 02.05.2025 წლის დირექტორის ბრძანებით- Nზ. 15- 882512210. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმასა და პერიოდულობას. მონიტორინგი ხორციელდება მოქმედების პერიოდში ორჯერ. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ, ხოლო შეფასება - წლიურად. შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. დოკუმენტში განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---



---

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით - ბ.15. 882512214 (02.05.2025).

სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი (2025-2030). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, რაც დასტურდება თავსებადი მსხვილი მიზნების შემუშავებით: ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება; საგ.პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება; სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის გაძლიერება; ოჯახისა და თემის ჩართულობის უზრუნველყოფა სააღმზრდელო/საგანმანათლებლო პროცესში; ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ძალადობისაგან დაცვის უზრუნველყოფა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს. თითოეულ მიზანზე ცხრილში გაწერილია მინიმუმ სამი ამოცანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა შილდის N2 ბაგა-ბაღის ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა (2025 წლის სექტემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე).

გეგმა მორგებულია სასწავლო წელს. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმასა და დაწესებულების თვითშეფასებას.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების დანართად გამოგზავნილ დოკუმენტაციაში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა, სადაც არ იყო მითითებული კონკრეტული ბაღებისთვის დაგეგმილი აქტივობები. ვიზიტამდე გამოსათხოვ

დოკუმენტაციაში მივუთითეთ, რომ წარმოედგინათ კონკრეტული ბაღების სამოქმედო გეგმებიც, რომელიც ადგილზე წარმოადგინეს - შილდის N2 ბაგა-ბაღის სამოქმედო გეგმა (2025 წლის სექტემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე). სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (ბ.15. 882512214 - 02.05.2025).



**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, რომელიც შეესაბამება მსხვილ მიზნებსა და ამოცანებს. გაწერილია კონკრეტული ინდიკატორები, საჭირო რესურსები, მოსალოდნელი შედეგები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. მაგ: საბავშვო ბაღის შენობის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. აქტივობები: რესურსის დაგეგმვა/მოძიება, პერსონალთან გაზიარება, მშობლებთან გაზიარება, მშობლების ჩართულობა. ინდიკატორი - განახლდა 5 გარე სივრცე და მოეწყო 1 საქვიშე კომპლექტაციით. ვადა - 2026 წლის სექტემბერი. პას.პირი - მენეჯერი, აღმზრდელები. მოსალოდნელი შედეგები - გარე სივრცე პასუხობს კურიკულუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გარე ინფრასტრუქტურა ესადაგება სტანდარტს, გარე სივრცე უსაფრთხოა ბავშვებისთვის. რესურსები - ადამიანური რესურსი, ფინანსური რესურსი. მსგავსი პრინციპით გაწერილია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

**5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მეთოდოლოგიაში აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების ფორმა. დაწესებულებას ბრძანებით დამტკიცებული აქვს (02.05.2025 - №15- 882512210) სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტით სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (მე-2წელს) და ბოლოს. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში ორჯერ, ხოლო შეფასებას წლიურად. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. პირველადი ავტორიზაციის პირობებში, პრაქტიკის შემოწმების გარეშე, შეფასდა მხოლოდ დამტკიცებული დოკუმენტი და წესი.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მეთოდოლოგიაში აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და საჯაროობა. მუხლი 15. 2 და მუხლი 15. 3; 15.4. საჯაროდ გამოქვეყნების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი: „ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება გაერთიანების ფეისბუქ გვერდზე. ანგარიშ(ებ)ის გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები. მუხლი 6. დოკუმენტების გაზიარება 1. გაერთიანების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარება უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარის ჩართვას. 2. პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- ა) ელექტრონული ფოსტა;
- ბ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- გ) სოციალური მედია ფეისბუქ გვერდი;
- დ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ)
- ე) ბანერი.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

## რეკომენდაცია

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1..სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2.ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმა (02.05.2025, ბ.15. 882512214),
3. შილდის N2 ბაგა-ბაღის სამოქმედო გეგმა დანართად;
- 4.დამტკიცებული დოკუმენტი - „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (02/05.2025, ბ.15. 882512210);
- 5.სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი (N1 02.05.2025)
6. ინტერვიუ შილდის N2 ბაგა-ბაღის მენეჯერთან, ყვარლის მუნიციპალიტეტის გაერთიანების დირექტორთან და მეთოდისტებთან.

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება                    |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2. კურიკულუმი <sup>3</sup>

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

<sup>3</sup>მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

## კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.  
სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

#### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

##### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 05/05/2025წ. №15. 8825125001 ბრძანებით დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ 5-6წ. ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ასევე გაერთიანების დირექტორის 02/05/2025წ. №15.882512211 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.“ აღნიშნული წესის მუხლი 2.2-ის შესაბამისად გაერთიანების დირექტორის 02/05/2025 N 15.8825122001 ბრძანებით შექმნილია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომლის შეკრებაც და კურიკულუმის შერჩევა დასტურდება 05.05.2025წ. N 2 შეხვედრის ოქმით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

##### 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 05/05/2025წ. №15. 8825125001 ბრძანებით დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ 5-6წ. ასაკობრივი ჯგუფებისთვის. გაერთიანების მიერ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 05/05/2025წ. №15. 8825125001 ბრძანებით დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ 5-6წ. ასაკობრივი ჯგუფებისთვის. გაერთიანების მიერ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

### 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 05/05/2025წ. №15. 8825125001ბრძანებით დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ 5-6წ. ასაკობრივი ჯგუფებისთვის. გაერთიანების მიერ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, ითვალისწინებს ოჯახთან /თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას.  
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 05/05/2025წ. №15. 8825125001ბრძანებით დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ 5-6წ. ასაკობრივი ჯგუფებისთვის. გაერთიანების მიერ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ N15.882512211 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.“ აღნიშნული წესის მუხლი 3-ის მიხედვით კურიკულუმი ზიარდება: დაწესებულების პერსონალთან, მშობლებთან, თემთან/მუნიციპალიტეტთან. გაზიარებისთვის კი გამოყენებულია „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ განსაზღვრული საკომუნიკაციო საშუალებები. კურიკულუმის გაზიარება დასტურდება მშობლებთან და თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმებით, (2025წ.19 მაისის შილდის N2 ბაღის პერსონალთან შეხვედრის ოქმი N6 და 2025წ 21 მაისის შილდის N2 ბაგა-ბაღის მშობლებთან შეხვედრის ოქმი N 7) ასევე კურიკულუმი გაზიარებულია, მშობელთა დახურულ ჯგუფებში, საკომუნიკაციო დაფაზე და ბაგა-ბაღის ფეისბუქ გვერდზე (შილდის მეორე ბაგა-ბაღი) აღმზრდელებთან გასაუბრების შემდეგაც დასტურდება, რომ ბაგა-ბაღის მენეჯერმა მიაწოდა ინფორმაცია აღმზრდელებს სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული კურიკულუმის შესახებ, აღმზრდელებმა კი გაუზიარეს მშობლებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 05/05/2025წ. N815. 8825125001 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.
2. ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02/05/2025წ N15.882512211 ბრძანება „კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.
3. ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02/05/2025წ N 15.8825122001 ბრძანება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება.
4. კურიკულუმის გაზიარების მტკიცებულებები შეხვედრის ოქმები მშობლებთან, თანამშრომლებთან (ოქმი N6 და ოქმი N 7)
5. ინტერვიუ გაერთიანების მეთოდისტებთან, ბაღის მენეჯერთან, აღმზრდელებთან, თანამშემწეებთან.
6. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის, 05.05.2025წ. N2 შეხვედრის ოქმი.



შეფასება:

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი 3-ის მიხედვით გეგმები არის გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული), რომელთა ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 24/07/2025წ. №15.88252053 ბრძანება „მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ“. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მიხედვით (მუხლი 3.3) გრძელვადიანი გეგმა იქმნება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. აღნიშნული ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 24/07/2025 №15.88252052 ბრძანება გრძელვადიანი გეგმის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N3.4.-ის მიხედვით მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N3.5 -ის მიხედვით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები ასახავს ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს, რაც გამოხატულია გეგმის ფორმაში რეფლექსიის სივრცის არსებობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N 3.5 -ის მიხედვით მოკლევადიანი გეგმის ფორმა ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც გამოხატულია გეგმებში დაკვირვების, რეფლექსიის, ინდივიდუალიზაციის გრაფების არსებობით, ასევე დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინდივიდუალური განვითარების გეგმას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

### 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N3.5 -ის მიხედვით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმებში ასახულია თამაშზე ორიენტირებული პროცესი, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა ცენტრებსა და სივრცეებში გადანაწილებულ აქტივობებში. აღმზრდელებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ბავშვებისთვის მოკლე ტრანზიციის პროცესებს სხვადასხვა ტიპის თამაშებით წარმართავენ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N3.5 -ის მიხედვით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ასახავს ბავშვის სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებულობას, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად ეზოსა და შენობაში. აღმზრდელებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ გეგმის ფორმაში აღნიშნული პროცესი გამოჩნდება სხვადასხვა ცენტრებსა და სივრცეებში განაწილებულ აქტივობებში და რეფლექსურ ჩანაწერებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მიხედვით დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს; დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს. რესურსებით მომარაგება ხდება შესყიდვის, შეგროვების და დონაციის გზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N5.6-ის მიხედვით მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 25/07/2025წ N ბ.15.8825206001 ბრძანებით დამტკიცებულია მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა 30 ბავშვიანი ჯგუფისთვის. დაწესებულებას თვითშეფასებით მოთხოვნილი აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობა 3 ჯგუფზე 85 ბავშვით. კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით დაწესებულება აკმაყოფილებს მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას, მაგრამ ადამიანური რესურსის გათვალისწინებით ზღვრული რეკომენდირებული რაოდენობაა 43 ბავშვი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

### 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

#### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის ჯგუფური ოთახები მოწყობილია კურიკულუმის შესაბამისად, თემატურ სივრცეებად: არის ხელოვნების, დრამატული, სენსორული, კუბურების, მეცნიერების, სამაგიდო თამაშების, წიგნიერების, სივრცე განმარტოვებისთვის და წრეზე შეხვედრებისთვის. ყველა სივრცეზე არის ვიზუალური და ტექსტური მინიშნებები ბავშვის სიმაღლის შესაბამისად. კედლებზე განთავსებული მასალა ფუნქციურია და ბავშვის სიმაღლეზეა, არის ვიზუალური დღის განრიგი, ჯგუფის წესები, ამინდის კალენდარი, ბავშვების ნამუშევრები. ჯგუფებში არის ქარხნული, ბუნებრივი, მეორადი და ხელნაკეთი რესურსი, რომელიც განთავსებულია ცენტრების შესაბამისად და ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი დახარისხებულია, მოთავსებულია კონტეინერებში, რომელთაც აქვს ვიზუალური და ტექსტური მინიშნებები. საბავშვო ბაგა-ბაღის ეზო დაყოფილია ფუნქციურ სივრცეებად, არის: დრამატული თამაშების, მეცნიერების, მუსიკალური, სამზარეულო, მშვიდი კუთხე, ხელოვნების, საქვიშე, ბოსტანი, ეზოში არის მაგიდა, სკამები, საქანელა, სასრიალო, ბალანსის აღჭურვილობა, საცოცი, საჩრდილობელი, საქვიშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის მუნიციპალიტეტის შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღში რესურსები ორგანიზებულია შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: განთავსებულია ცენტრებში, დახარისხებულია კონტეინერებში, რომელთაც აქვთ ტექსტური და ვიზუალური მინიშნებები და ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის, განთავსებულია მათი სიმაღლის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორია მითხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება





### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ზავშეს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღში ჯგუფური ოთახები მოწყობილია თემატურ სივრცეებად, სადაც ბავშვებს აქვთ საშუალება მათი ინტერესების შესაბამისად ჩაერთონ აქტიურ და პასიურ, დიდ და მცირე ჯგუფურ აქტივობებში, დაისვენონ და განმარტოვდნენ წყნარ სივრცეში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ზავშეზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

##### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ზავშეზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N8-ის მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, დაწესებულება თანმიმდევრულად იყენებს ზავშეზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, მოკლე კითხვარები, ჩექლისტები, ცხრილები, შეფასებითი პორტფოლიო. რომელთა ფორმები წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული წესის დანართის სახით.





ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი მუხლი N 8.5-ის მიხედვით ბავშვის შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი მუხლი N8.10-ის მიხედვით ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი მუხლი N8.5-ის მიხედვით ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად, წელიწადში სამჯერ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 02/05/2025წ. ბ.15.88251229 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“
2. ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის 25/07/2025წ N ბ.15.8825206001 ბრძანებით დამტკიცებული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა.
3. ინტერვიუ საგანმანათლებლო პერსონალთან, ბაღის მენეჯერთან.
4. გარემოს ვიზუალური დათვალიერება.
5. დღის განრიგი.



|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| <b>2.2. კურიკულუმის განხორციელება</b>           |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 02.05.2025წ. N ბ15.882512211 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ აღნიშნული წესის მუხლი N4 -ის მიხედვით კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება: საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას,ფიზიკური გარემოს შეფასებას,მშობლებისგან უკუკავშირს,საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)ივ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 02.05.2025წ. N 815.882512211 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ აღნიშნული წესის მუხლი N5-ის მიხედვით გაწერილია,რომ კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.კურიკულუმის შეფასებისთვის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც აანალიზებს შეფასების შედეგებს კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში. განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)ივ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 02.05.2025წ. N 815.882512211 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“
2. ინტერვიუ საგანმანათლებლო პერსონალთან.

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 2.3.კურიკულუმის შეფასება და განვითარება         |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

#### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

##### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის



## 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ზ 88251228 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმა, სადაც გაწერილია ერთი წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N 2 ბაგა-ბაღის მენეჯერთან და აღმზრდელებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ ბაგა-ბაღი წახალისებს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც გაწერილი აქვთ საკომუნიკაციო გეგმაში: კერძოდ მშობლებთან ერთად იგეგმება სხვადასხვა აქტივობები ბაგა-ბაღს აქვს „მშობლის საათი“, რომლის დროსაც თვეში ერთხელ მშობლები ჩაერთვებიან სააღმზრდელო პროცესში, შერჩეული თემის შესაბამისად, ასევე მშობლები მიიღებენ მონაწილეობას ღია მასალების შეგროვებაში და ეზოს მოწყობაში. საბავშვო ბაგა-ბაღი საგანმანათლებლო მიზნებისთვის იყენებს თემში არსებულ რესურს: მაგალითად სკოლას, სკვერს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



### 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ზ 88251228 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, სადაც მუხლი N4.3-ში გაწერილია 9 საკომუნიკაციო არხი. რომელთა არსებობაც დაადასტურეს ბაგა-ბაღის მენეჯერმა და აღმზრდელებმა ასევე დადასტურდა ადგილზე ვიზიტითაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ზ 88251228 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი,
2. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა,
3. ინტერვიუ ბაგა-ბაღის მენეჯერთან, აღმზრდელებთან.
4. ვიზუალური დათვალიერება.

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| <b>3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა</b>             |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |



### 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

#### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ.N 8825134001ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნულ გეგმაში არ არის გაწერილი აქტივობები მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მათ შორის ბავშვთა უფლებებზე და ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.არც გასაუბრების შედეგად ბაგა-ბაღის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პერსონალთან დასტურდება მსგავს თემებზე დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის .

რეკომენდაცია

შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია : საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშავოს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტები/პროცესები მშობელთა /კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვისთვის, დაწესებულებამ შეიძლება ჩამოაყალიბოს მშობელთა კლუბი ან/და დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის სამუშაო შეხვედრები, სემინარები, სადაც მოწვეული იქნებიან სხვადასხვა სპეციალისტები: ფსიქოლოგები,მეთოდისტები. ბაღი ვალდებულია მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია ბავშვთა უფლებებზე, ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებზე და განვითარების სპეციფიკაზე.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,სადაც გაწერილია ,რომ 12 თვის ვადაში შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი საკომუნიკაციო გეგმაში შეიტანს ცვლილებებს: გაწერს აქტივობებს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების კუთხით ბავშვთა უფლებებზე და ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. დაწესებულება ჩამოაყალიბებს მშობელთა კლუბს, გამართავს სემინარებს,შეხვედრებს ზემოთ მითითებულ თემატიკაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.





## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ.N 8825134001ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმა, აღნიშნულ გეგმაშიარ არის გაწერილი ბავშვის შეფასების შედეგებზე რეაგირების ამსახველი დოკუმენტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია : მშობლებთან /კანონიერ წარმომადგენლებთან დაგეგმონ შეხვედრები, სადაც მათ გააცნობენ ბავშვების შეფასების შედეგებს,,საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოსის წესში“ გაწერილი პერიოდულობის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,სადაც გაწერილია,რომ 12 თვის ვადაში შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი საკომუნიკაციო გეგმაში შეიტანს ცვლილებებს,კერძოდ დაგეგმავს შეხვედრებს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან,სადაც მათ გააცნობენ ბავშვების შეფასების შედეგებს.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ.N 8825134001ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმა,აღნიშნულ გეგმაში გაწერილია თემში არსებული რესურსების გამოყენება კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობებისთვის: მაგალითად ვიზიტი სოფლის სკვერში. ბაგა-ბაღის მენეჯერთან და საგანმანათლებლო



პერსონალთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ საგანმანათლებლო მიზნებისთვის ასავე იყენებენ სკოლის, მუზეუმის რესურს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ბ 88251228 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, აღნიშნული წესის მუხლი N6-ის მიხედვით გაწერილია, რომ განხორციელებული აქტივობების შესაფასებლად დაწესებულება გამოიყენებს ღია შეხვედრებს და სოციალური მედიის მონიტორინგს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 02.05.2025წ N ბ 88251228 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.

2. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 14/05/2025წ. N 8825134001 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა.

3.ინტერვიუ ბაგა-ბაღის მენეჯერთან, აღმზრდელთან.

|                                                      |                                                          |                                                 |                                         |
|------------------------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                            |                                                          |                                                 |                                         |
| <b>3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>                 | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა<sup>4</sup>

##### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

##### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ყვარლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების დაწესებულების პერსონალის ინსტრუქციები, ქცევისა და ეთიკის ნორმები, რომელშიც გაწერილი აქვს დასაქმებულების უფლება-მოვალეობები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით (02.05.2025 წლის N ბ.15.88251227). სპეციალური განათლების პედაგოგს გაწერილი აქვს უფლება - მოვალეობები. ინტერვიუთი დასტურდება სპეც.პედაგოგის ჩართულობა ყოველდღიურად საგანმანათლებლო პროცესში. დაწესებულებამ წარმოადგინა ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ დატკიცებული საერთო საშტატო ნუსხა დასაქმების პოზიციების მითითებით რაოდენობრივად, რომელსაც თან ერთვის კონკრეტულად შილდის N2 ბაგა-ბაღის საშტატო ნუსხაც (ჯამში დაკომპლექტებული 27 თანამშრომლით).საშტატო ნუსხა აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში. დაწესებულებას ჰყავს:

<sup>4</sup> აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

აღმზრდელი - 3; (ბაგა 13, 3-4 26 ბავშვი , 5-6 19 ბავშვი); აღმზრდელის თანაშემწე - 2; ძიძადაძლავებული - 3; სპეც. მასწავლებელი - 1; ლოგოპედი - 1; მუსიკ. მასწავლებელი - 1; ექთანი - 1; მწე - 1; მრეცხავი - 1; დამლაგებელი - 1; სპორტის მასწავლებელი - 1; მზარეული - 1; მზარეულის თანაშემწე; მეეზოვე - 1; დარაჯი - 1.

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხა აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება 3 ჯგუფიდან ვერც ერთ მათგანში ვერ აკმაყოფილებს აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობას, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რადგან დაწესებულებას ჰყავს აღმზრდელის თანაშემწეები და 3 ჯგუფზე ჯამში მხოლოდ 3 აღმზრდელი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

#### რეკომენდაცია

დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და დაიცვას თანაფარდობა ჯგუფში შემდეგი პრინციპით 2-3 (1/13); 3-4 (1/15); 4-5 (1-15); 5-6 (1/15). არსებული ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, დაწესებულებისთვის რეკომენდებული ბავშვების ზღვრული რაოდენობა არის 43.

#### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05.11. 2025 წელს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი: 1. შეიტანს ცვლილებებს საშტატო ნუსხაში და საჭიროებების შესაბამისად დააკორექტირებს პოზიციებს; 2. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად, დაამატებს აღმზრდელებსა და აღმზრდელის თანაშემწეებს; 3. გამოაცხადებს კონკურსს აღმზრდელისა და აღმზრდელის თანაშემწეებზე და შეარჩევს პერსონალს; 4. შეარჩეულ პერსონალთან კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ ბრძანებით (ბ.15. 88251227/ 02.05.2025) დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს“ დანართად ერთვის სამსახურებრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (უფლება-მოვალეობები). დანართში წარმოდგენილია ყველა იმ პირის უფლება-მოვალეობები, ვინც განსაზღვრულია დამოწმებულ საშტატო ნუსხაში. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებს, თან ერთვის პირების ფუნქციები, უფლება-მოვალეობები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია დოკუმენტით “პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც დამტკიცებულია ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, ზ.15. 88252103 (29/07/2025). წარმოდგენილია პირების ფუნქციები, რომელიც მკაფიოდაა გამოიჯნული და მოიცავს ყველა მათგანს, ვინც განსაზღვრულია დაწესებულების სამტატო ნუსხაში. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, გარდა სპეც.პედაგოგისა. მას არ აქვს ბაკალავრის ხარისხი. გავლილი მხოლოდ 120 საათიანი ინკლუზიური განათლების ტრენინგი. „პროფესიული განათლება“, „აღმზრდელ-პედაგოგი“. გარდა ამისა, როგორც 4.1.1. კომპონენტში აღინიშნა დაცული არ არის აღმზრდელის, ან/და ღმზრდელ-პედაგოგის თანაფარდობა.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.*

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების შერჩევა და დანიშვნა. გადახედოს შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, იხელმძღვანელოს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შეილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი გადახედავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და იხელმძღვანელებს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

*აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.*

### 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის მიერ პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგის დამადასტურებელი ორი ( 1 აღმზრდელი, 1 აღმზრდელის თანაშემწე) სერტიფიკატი. ტრენინგი არ აქვს გავლილი საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირს. ბავშვის მენეჯერთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ დანარჩენი საგანმანათლებლო პერსონალისთვის დაგეგმილია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის გავლის ორგანიზება. აღნიშნული დასტურდება გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუთი. დაწესებულებას არ აქვს ამ ინდიკატორზე გაწერილი შესაბამისობის გეგმა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგში მონაწილეობა და შეძლოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დადასტურება.

### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი: მოიძიებს უფლებამოსილ ორგანოს, გააფორმებს მასთან ხელშეკრულებას და საგანმანათლებლო პერსონალს გადაამზადებს პირველადი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (დამტკიცებული ბრძანებით, ზ15. 88251227, 02.05.2025). დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პერსონალის მართვის კონკრეტული პრაქტიკა არ შემოწმებულა პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, თუმცა დოკუმენტში პროცედურა დეტალურადაა გაწერილი.





**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## **2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები აღმზრდელებთან და აღმზრდელის თანაშემწეებთან. ხელშეკრულებები არ მოიცავს არასაკონტაქტო და საკონტაქტო საათებს. დაწესებულებას აღნიშნულ ინდიკატორზე შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრულია 24 თვიანი პერიოდი (01/06/2025- 01/06/2027) შესაბამისობა - ნაწილობრივი

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებას (შილდას N2) აღნიშნულ ინდიკატორზე შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელის შესრულების ვადად განსაზღვრულია 24 თვიანი პერიოდი (01/06/2025- 01/06/2027) შესაბამისობა - ნაწილობრივი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღმზრდელებს ხელშეკრულებით განუსაზღვროს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და უფლება-მოვალეობებთან ერთად გაწეროს არასაკონტაქტო საათებში დასაქმებული პირს მიერ განსახორციელებელი საქმიანობები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## **3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (02.05.2025, ბრძანება - ბ15. 88251227) და შინაგანაწესში (02.05.2025, დამტკიცებული ბრძანებით - ბ15. 882512212) გაწერილი აქვს კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცედურები. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია: მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა

1. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

1.1. ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;

1.2. გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის. გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუთი აღმოჩნდა, რომ პრაქტიკით თანამშრომელთა აყვანა შესაძლოა ყოფილიყო პირდაპირი დანიშვნის გზით, თუმცა ახალი შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკა არ მოწმობდა აღნიშნული შეფასება ეყრდნობა გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს - „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დამტკიცებულია ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის №15.88251227 ბრძანებით).

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესი დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (დამტკიცებულია ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის №15.88251227 ბრძანებით) - მუხლი N18 – “ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია“. მუხლში განხილულია ადაპტაციის მექანიზმები, მათ შორის ახალი გუნდის, უსაფრთხოების წესების, დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა თუ სტრუქტურის გაცნობა, ასევე მენტორინგის სისტემის შესაძლებლობა და არსებობა.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შილდის N2 ბაგა-ბაღში - გუნდურად მუშაობენ თანამშრომლები. ერთად განიხილავენ კურიკულუმს, გამოწვევებს, ტრენინგის შესახებაც ცვლიან ინფორმაციებს. ნაწილობრივი დაფინანსება აქვთ ადგილობრივი პოროფ.კავშირებიდან და გაერთიანება პერიოდულად აორგანიზებს არაფორმალურ გარემოში დაწესებულებების საერთო ღონისძიებებს: საახლწლო დღესასწაული, სამემოდგმო ღონისძიება და ა.შ.  
*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, საჭიროებების მოკვლევასა და შედეგების გამოყენებას კადრების პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის. მენეჯერი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდულობით ცდილობენ გამოარკვიონ კადრების საჭიროებები, თუმცა ეს სტრუქტურული და თანმიმდევრული პროცესი არ არის. პრაქტიკის მიღმა, დაწესებულებას სამომავლო პროცესისთვისაც არსად არ აქვს დოკუმენტალურად წარმოდგენილი.  
*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.*

## რეკომენდაცია

დაწესებულებამ პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოს და შეიმუშავოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის სტრუქტურირებული პროცესი. ეს იქნება რეგულარული კვლევა, ფოკუს ჯგუფი, ინდივიდუალური შეხვედრები, ინციტივების ყუთი თუ სხვა..

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი პროფესიული განვითარების მიზნით, შეიმუშავებს პერსონალის სამქიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის სტრუქტურირებულ პროცესს, რომელსაც დაამტკიცებს და განსაზღვრავს: რეგულარულ კვლევებს, ფოკუს ჯგუფის საქმიანობას, ინდივიდუალურ შეხვედრებსა და ინციტივების ყუთს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (დამტკიცებულია ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის №815.88251227ბრძანებით) გაწერილია წახალისება და პერსონალის განვითარება (ზოგადი ფორმულირებით) და დარეგულირებულია მუხლით 20 „თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება“:

1. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.
2. დაწესებულება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:
  - ა) ტრენინგი;
  - ბ) თვითგანვითარება;
  - გ) კონსტრუქციული უკუკავშირი;
3. დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.
4. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინციტივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინციტივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

4. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება:

ა) ფულადი ჯილდო.

ბ) მადლობის გამოცხადება,

გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა

მიუხედავად ამისა, მუხლი 20.3. - ში ნახსენები პროფესიული განვითარების გეგმა დაწესებულებას ადგილზე არ წარმოუდგენია.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.*

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის საჭიროებების მოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიმუშავოს განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ზაგა-ზალი: 1. მოიკვლევს პერსონალის საჭიროებებს; 2. საჭიროებებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს და დაამტკიცებს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას.

*აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.*

### 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს მოიკვლევს და გაითვალისწინებს. მენეჯერთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ არაფორმალურად შესაძლოა იღებდნენ პერსონალის ინიციატივებს, თუმცა ეს პროცესი არ არის თანმიმდევრული და ორგანიზებული.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.*

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გათვალისწინებისთვის შეიმუშაოს გეგმა და ხელი შეუწყოს, მათი ინიციატივების შესაბამისად, პროფესიულ განვითარებას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იკ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი აწარმოებს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით, მათი ინიციატივების კვლევას და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შეადგენს პროფესიული განვითარების გეგმას.  
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების ორგანოგრამა
2. გაერთიანების მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხა, შილდის N2 ბაგა-ბაღის საშტატო ნუსხა დანართად;
3. პერსონალის პირადი საქმეები;
4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
5. შრომითი ხელშეკრულებები (საგანმანათლებლო და სხვა პერსონალთან); თან ერთვის დანართად პირების ფუნქცია-მოვალეობები.
6. შინაგანაწესი (დამტკიცებული ბრძანებით ბ15. 882512212, 02.05.2025)
7. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებული ბრძანებით, ბ15. 88251227, 02.05.2025)
8. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია ბრძანებით ბ.15. 88252103, 29/07/2025)
9. გაერთიანების დირექტორთან და მეთოდისტთან ინტერვიუ; დაწესებულების მენეჯერთან ინტერვიუ;
10. პირველადი გადაუდებელი აღმოჩენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
11. შილდის N2 ბაგა-ბაღის შესაბამისობის გეგმა.

|                                              |                                               |                                                            |                                         |
|----------------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                    |                                               |                                                            |                                         |
| <b>4.1. პერსონალის მართვა და განვითარება</b> |                                               |                                                            |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>         | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.2. პროცესების მართვა

##### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას



## 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - „ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ მართვის პროცესების დოკუმენტში კონკრეტულად მიუთითოს დაწესებულების დასახელებაც, რადგან შესაძლოა გაერთიანების მიერ შემუშავებულ საერთო დოკუმენტში აღწერილი პროცესებისგან განსხვავებული პროცესის საჭიროება დადგეს თავად დაწესებულებაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, - „ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“ - დასტურდება, რომ პროცესებს მართავს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია: პროცესის სახე, პროცესის დასახელება, პროცესის მფლობელი, პროცესის შემადგენელი ეტაპები, პროცესის მარეგულირებელი წესი/მექანიზმი.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით ( 02.05.2025 N 815.88251226.).

წესს დანართის სახით თან ერთვის შაბლონები:

- მშობლის განცხადების შაბლონი;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- პერსონალური მონაცემების დამუშავების (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველი) თანხმობის შაბლონი.

ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა ხორციელდება მატერიალური ფორმით, განაცხადების მიღების გზით. განაცხადის გაერთიანებაში შესვლის შემდეგ რეგისტრირდება და ეგზავნება კონკრეტულ დაწესებულებას, რაც დასტურდება დამტკიცებულ წესში. აღნიშნული პროცესი დამატებით დასტურდება გაერთიანების დირექტორთან და შილდის N2 ბაგა-ბაღის მენეჯერთან ინტერვიუთი.

ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის წესში დარეგულირებულია:

- მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულებიდან გაყვანის შესახებ;
- მშობლის/კანონიერი ნებართვა/უარყოფა ფოტო-ვიდეო გადაღება/გამოქვეყნებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ დოკუმენტში სტატუსის მაძიებელს გაწერილი აქვს ბავშვის პირადი საქმისთვის შემადგენელი საჭირო დოკუმენტაციის ჩამონთვალი, ხოლო პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. დაწესებულებამ გაერთიანების დირექტორთან და საქმისმწარმოებელთან ინტერვიუს შემდეგ, ვიზიტის მეორე

დღეს წარმოადგინა: ბრძანება პერსონალის პირადი საქმის წესის დამტკიცების შესახებ, (N 15.8825210001 (29.07.2025) სადაც გაწერილია პირადი საქმის შენახვის ვადა, პასუხისმგებელი პირი და დანართად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი; ბრძანება ბ15. 8825210001 (29.07.2025). ასევე აღსაზრდელთა პირადი საქმის წესის დამტკიცების შესახებ, სადაც რეგულირდება პირად საქმეზე პასუხისმგებელი პირი და თან ერთვის პირადი საქმისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის პირადი საქმეები;
2. ბავშვების პირადი საქმეები;
3. პერსონალისა და ბავშვების პირადი საქმის წარმოების წესი (ბრძანება N.15. 882510001);
4. ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (ბრძანება 02.05.2025 N ბ15.88251226);
5. ყვარლის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები;
6. ინტერვიუ გაერთიანების დირექტორთან, საქმისმწარმოებელთან და დაწესებულების მენეჯერთან.

შეფასება:

#### 4.2 პროცესების მართვა

შეესაბამება ☒

მეტწილად შეესაბამება ☐

ნაწილობრივ შეესაბამება ☐

არ შეესაბამება ☐

#### 4.3. მატერიალური რესურსი

**4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.



|                                      |                                               |                                                            |                                         |
|--------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                               |                                                            |                                         |
| <b>4.3 მატერიალური რესურსი</b>       |                                               |                                                            |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

##### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                                 |                                                          |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>            | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

##### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                        |
|----------------------------------------|
| შეფასება:                              |
| <b>4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები</b> |

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი. წესში გაწერილი აქვთ:

- გადაუდებელი შემთხვევის დროს სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახებაზე პასუხისმგებელი პირი (ბაღის დირექცია).
- სამედიცინო კაბინეტში გადაუდებელი დახმარებისთვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობა და მედიკამენტები;
- სასწრაფოს მოსვლამდე ექთნის ვალდებულება უზრუნველყოს ბავშვებისთვის პირველადი დახმარების გაწევა.
- ექთნის კაბინეტში თვალსაჩინოდ განთავსებული პირველადი დახმარების ინსტრუქციის გამოკვრის ვალდებულება.

დაწესებულებაში არის სამედიცინო ოთახი, ექიმი აღრიცხავს შემთხვევების ჟურნალს და პასუხისმგებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე.

დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული კომპონენტი

დაწესებულებას გატანილი აქვს შესაბამისობის გეგმაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული ინდიკატორზე თვითშეფასების დანართის ფორმად წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შემდეგი ვადებით 01.06.2025 – 01/06/2026. დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო მართვის შეთანხმებული გეგმა ზემოთაღნიშნული ვადების დაცვით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერა, თუმცა აღწერა არ არის წარმოებული კომპეტენტური პირის მიერ. მცენარეები აღწერილია ბაღის მენეჯერის თანაშემწისა და აღმზრდელის თანაშემწის მიერ. აღწერაში მითითებულია მცენარის დასახელება, რაოდენობა, მცენარეების სავარაუდო ასაკი და აღწერის ჩატარების თარიღი. ახლავს ბიოლოგის დამადასტურებელი დიპლომი, თუმცა აღნიშნული ბიოლოგის ხელმოწერა არ დასტურდება ინვენტარიზაციის აქტზე. გარდა ამისა, აღწერაში არ იკითხება უსაფრთხო/საფრთხის შემცველი მცენარეები და საჭიროების შემთხვევაში მათი გაუვნებლყოფის გზები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ აღწეროს ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები. აღნიშნული აღწერა ჩაატაროს კომპეტენტურმა პირმა. აღწერით დაადასტუროს, რომ არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს, ხოლო საფრთხის შემთხვევაში შეიმუშაოს გაუვნებლყოფის პროცედურები.

### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი უზრუნველყოფს: 1. შესაბამისი უწყებიდან კომპეტენტური პირის მოწვევას; 2. აღრიცხავს მცენარეებს; 3. საბავშვო ბაღის ეზოს გაათავისუფლებს მავნე მცენარეებისგან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ განცხადების ფორმით. განაცხადში მშობლები ადასტურებენ თანხმობას, როგორც ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, ასევე ფოტო/ვიდეო გადაღებაზე. ფორმაში მითითებულია: ბავშვის სახელი/გვარი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი; თარიღი; ხელმოწერა.

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის კონკრეტული უსაფრთხოების წესები დოკუმენტალურად. თუმცა, ბაღის მენეჯერთან და გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ტრანსპორტის



საჭიროების შემთხვევაში, მძღოლს სთხოვენ ტრანსპორტის ტექნიკურად გამართულობის დოკუმენტს, ტერიტორიიდან გასვლისას აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ყუთი და განსაზღვრული ჰყავთ საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულების მენეჯრთან და გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუს დროს ჩამოთვლილი, მოქმედი პროცედურები აღწერონ და შექმნან დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებენ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

#### 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

##### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში გარემო პროგნოზირებადია ბავშვისთვის, რაც დასტურდება შენობაში და ჯგუფებში არსებული ვიზუალური მინიშნებებით.

ჯგუფურ ოთახებში აქვთ წარმოდგენილი დღის განრიგის შემადგენელი ნაწილების ილუსტრაციები. კურიკულუმის ექსპერტის

აღმზრდელებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ პროცესში ბავშვებს აცნობენ დაგეგმილ აქტივობებს და დღის გეგმას.

*აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

##### 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და მზადაა გამოიყენოს ის პროცესში. არ იყო რაიმე ტიპის შეხვედრის ოქმი, ტრენინგი ან სამუშაო შეხვედრა ბავშვის უფლებების გაცნობასთან დაკავშირებით. ბალის მენეჯერთან ინტერვიუს პროცესში არ გამოიკვეთა რაიმე აქტივობა ან მოცემულობის წარდგენა, რაც აღნიშნულს დაადასტურებდა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

#### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა, დაწესებულებაში მომუშავე ყველა პირს გააცნოს ბავშვის უფლებები და გაუწიოს მონიტორინგი, რათა დარწმუნდეს, რომ საქმიანობის პროცესში ყველა პირი ხელმძღვანელობს ბავშვის უფლებების დაცვის პრინციპით.

#### რჩევა

##### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი შეიტანს ცვლილებას საკომუნიკაციო გეგმაში, სადაც ბავშვთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაწესებულების პერსონალთან ჩატარდება შეხვედრები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ 02.05.2025, ბრძანებით N.ბ.15. 88251225. დოკუმენტში გაწერილია პროცედურები და თან ერთვის:

- დანართი N1 “ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის შაბლონი“;
- დანართი N2 შეტყობინების ფორმის შაბლონი.

სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, (შილდის N2 ბაგა-ბაღის მენეჯერი), რომელიც განსაზღვრულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით - 24.07.2025; ბ15. 8825205001.

შილდის N2 ბაგა-ბაღის მენეჯერმა წარმოადგინა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ“ ტრენინგში მონაწილეობისთვის. ტრენინგის ჩამტარებელი ორგანიზაცია - World Vision Georgia.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა დოკუმენტი - „ბაგა-ბაღში ბავშვის ადაპტაცია, ტრანზიციის გეგმა“, რომელშიც გაწერილია ბავშვის წინასწარ ემოციური მომზადების ეტაპები, მშობლებისა და აღმზრდელების თანამშრომლობა ადაპტაციასთან დაკავშირებით. ტრანზიციის გეგმაში გაწერილია 6 ეტაპი: მოსამზადებელი ეტაპი, პირველადი შესვლა, ეტაპობრივი ადაპტაცია, სოციალური ინტეგრაცია, მშობლებთან კომუნიკაცია, შეფასება და კორექცია.

საგანმანათლებლო პროცესში მცირე ტრანზიციების არსებობა დასტურდება აღმზრდელების მიერ წარმოდგენილ გეგმებში და მათთან ინტერვიუების პროცესში. შილდის N2 ბაგა-ბაღის ღია ფბ-ის გვერდზე გაზიარებული პოსტებიდან დასტურდება დიდი ტრანზიციების არსებობაც - „სახლიდან ბაღში“.

*აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე რეაგირების ინსტრუქციის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით 06.22.2024 ბ.15.88243112. ასევე დამტკიცებული აქვს ბრძანებით ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში ინციდენტის იდენტიფიცირების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობლისთვის შესავსები განაცხადის გაერთიანებული ფორმა, ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის და ფოტო/ვიდეო გადაღების თანხმობის, სოც.ქსელში განთავსებაზე ნებართვის ფორმებიც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლის წერილობითი ნებართვა (დაწესებულებიდან გაყვანა, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე სოც.ქსელში განთავსებაზე);
2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე რეაგირების ინსტრუქცია (დამტ. ბრძანებით 06.22.2024, ბ.15. 88243112);
3. დოკუმენტი - „ბაგა-ბაღში ბავშვის ადაპტაცია, ტრანზიციის გეგმა“;
4. „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (დამ. ბრ. 02.05.2025, N.ბ.15. 88251225);
5. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება (24.07.2025; ბ15. 8825205001);
6. კურიკულუმის ექსპერტის ინტერვიუ აღმზრდელთან;
7. ვიზუალური დათვალიერება;
8. FB გვერდი - „შილდის მეორე ბაღი“;
8. დაწესებულების მიერ შევსებული შესაბამისობის გეგმა.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| 4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.7. ფინანსური რესურსი

##### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

## 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ სანიმუშოდ წარმოადგინა, ფინანსური უზრუნველყოფის ან დამატებითი თანხის გამოთხოვის მტკიცებულება (ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ბ.88. 88251903 (09.07.2025), სადაც წარმოდგენილია ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ). ბრძანებას თან ერთვის გაერთიანების 2025 წლის ბიუჯეტის საერთო ხარჯთაღრიცხვა გაერთიანებაში შემავალი ბაღებისთვის. კონკრეტულ დაწესებულებას ცალკე ბიუჯეტი არ აქვს, თუმცა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან ინტერვიუთი იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად სექტებრიდან დაიწყებენ დაწესებულების სამოქმედო გეგმის მიხედვით ბიუჯეტირებას და ტენდერების გამოცხადებას. სტატუსის მაძიებელს აქვს ფინანსური რესურსი, რომელიც განისაზღვრება გაერთიანების საერთო ბიუჯეტიდან. თუმცა, კონკრეტულ დაწესებულებაზე განსაზღვრული ფინანსური ბიუჯეტი არ იყო წარმოდგენილი, რომელიც სამოქმედო გეგმის შეუფერხებლად განხორციელებისთვის ყველა აქტივობას მოხმარდებოდა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დაადასტუროს ფინანსური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შეუფერხებლად განხორციელებას იმ კონკრეტულ ბაღში, ვისაც მიემართება ბიუჯეტი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი შეიტანს ცვლილებას ფინანსურ გეგმაში, რათა შეასრულოს სამოქმედო გეგმაში მითითებული ყველა აქტივობა, შეათანხმებს და დაამტკიცებს აღნიშნულ ცვლილებას შესაბამის ორგანოსთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან ინტერვიუში დადასტურდა, რომ კონკრეტული დაწესებულება, საჭიროებისამებრ, განცხადებით (წინასწარ შემუშავებული ფორმით) მიმართავს გაერთიანებას, გაერთიანება ადასტურებს/არ ადასტურებს დაფინანსების წყაროს. წარმოდგენილ მიმართვის ფორმებში გამოყოფილია სამეურნეო და საკანცელარიო მიმართულებები. აღსანიშნავია, რომ სტატუსის მამიებელს ცალკე ბიუჯეტი არ აქვს და შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყოფილი რესურსი არსად იკითხება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ საერთო ბიუჯეტთან ერთად, შეიმუშაოს კონკრეტული დაწესებულებისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრული იქნება კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი შეადგენს ბიუჯეტს, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული საჭიროებების შესასრულებლად, რესურსის უწყვეტ ხელმისაწვდომობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და შესაბამისად, არც ფინანსური რესურსის მართვის შემუშავებული სისტემა. თუმცა ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან ინტერვიუთი დასტურდება შემდეგი:

მან აღწერა ფინანსური რესურსის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის პროცესი:

- თანხის მოთხოვნა;
- შესყიდვების სპეციალისტს გადაეცემა რესურსების ჩამონათვალი;
- შესყიდვები იყიდის რესურსებს და მიაწვდის ბაღებს მათი მოთხოვნის შესაბამისად.
- მონიტორინგი მოხდება განაწილებაზე. არსებობს რესურსების განაწილების ფორმა, რომელსაც ხელს აწერს და ადასტურებს ბაღის მენეჯერი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია



ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იკ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 05/11/ 2025წ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია , რომ 12 თვის ვადაში (05/11/2025 – 05/11/2026) შილდის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი შეიმუშავებს და დაამტკიცებს ფინანსური მართვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის მექანიზმებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შილდის N2 ბაგა-ბაღის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
2. ინტერვიუ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორთან;
3. ინტერვიუ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარ ბუღალტერთან;
4. ინტერვიუ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შესყიდვების სპეციალისტთან.
5. შესაბამისობის გეგმა.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.7 ფინანსური რესურსი</b>         |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი



| 1. სავალდებულო დანართის დასახელება                                         |                             |
|----------------------------------------------------------------------------|-----------------------------|
| ვიზიტის დღის წესრიგი                                                       |                             |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| დანართის N                                                                 | 2. სხვა დანართის დასახელება |
| 1                                                                          |                             |
| 2                                                                          |                             |
| 3                                                                          |                             |

თარიღი

14/11/2025

ხელმოწერი

სახელი გვარი

ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე  
ხარისხის ექსპერტი

ნინო ავსაჯანიშვილი

ნ. ავსაჯანიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები  
კურიკულუმის ექსპერტი:

თინათინ თოიძე

თ. თოიძე

კვების დარგში ექსპერტი:

რუსუდან აჩელაშვილი

რ. აჩელაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

იანა გიორგაძე

ი. გიორგაძე

| 4.3. კომპონენტი განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი                                                                                                  |                                                                                                                                                                                                            |            |                      |                        |               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                            |       |                                 |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|----------------------|------------------------|---------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------|---------------------------------|
| საფირმო სახელწოდება: ყვარლის სკოლაშდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება პროგრამ(ები) განმორციელების ადგილის სახელწოდება (არჩევის შემთხვევაში): შილდის N2 ნაკ-ნადი       |                                                                                                                                                                                                            |            |                      |                        |               | ბრაჰინების N: ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლაშდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აცტორიზაციის გეგმერტა ჯგულის შექმნისა და სკოლაშდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი მიანიჭებში - ა(ა)მ ყვარლის სკოლაშდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების სკოლაშდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანება MES 9 25 0000831591 07/07/2025                                                                     |                                                                                                                                            |       |                                 |
| პროგრამ(ები) განმორციელების დეტბორირი მისამართი: ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ.შილდა, ჩილითის N 166 (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დასახლოვლი/ქუჩა და N)                            |                                                                                                                                                                                                            |            |                      |                        |               | ვიზიტის თარიღი: 1-2 აგვისტო, 2023 წელი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |                                                                                                                                            |       |                                 |
| კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისით განსაზღვრული მზრუნვის მისაღწევად და შეესაბამება არჩეულ დაპან დაყვმილ ხაგვით რაოდენობას |                                                                                                                                                                                                            |            |                      |                        |               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                            |       |                                 |
